1 დეკემბერი

2023 პარასკევი

დან 7,2–14; ფს: დან 3,75–81; ლკ 21,29–33

ცა და დედამიწა გადაივლიან, ჩემი სიტყვები კი არ გადაივლიან! ლკ 21,33

ლიტურგიული წლის დასასრულს ვუახლოვდებით: საკითხავები გვამზადებენ იმის გასააზრებლად, რომ ყველაფერი მართლაც გადაივლის. ადრე თუ გვიან, ყველა სატკივარი გაივლის და, მეც მოვკვდები. იესო კი სიცოცხლეს გვპირდება: დროს არ დავკარგავ, მის სიტყვებს ჩავეჭიდები.

2 დეკემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II], მწ

(19.XI) წმ. ილარიონ ქართველი, მონაზონი, +875, (მ), თ

2023

შაბათი

დან 7,15-27; ფს: დან 3,82-87; ლკ 21,34-36

უზენაესის წმინდანები მიიღებენ სამეფოს

დან 7,18

წინასწარმეტყველი დანიელი თავისი ხილვის განმარტებას იღებს. ოთხი ცხოველი დედამიწის ოთხ მეფეს წარმოადგენს, მაგრამ სამეფო, რომელიც სამარადისოდ გრძელდება, უზენაესის წმიდათა ხვედრია. ვაცნობიერებთ, რომ საუბარია ცათა სამეფოზე, სადაც ისინი ხარობენ, ვინც მამა ღმერთს და მის ძეს ამორჩილებიან.

3 დეკემბერი

ადვენტის I კვირადღე, «ბ», [I], ი

2023

კვირა

ეს 63,16ბ-17.19ბ;64,2-7; ფს 79; 1კორ 1,3-9; მარ 13,33-37

ახალი ლიტურგიული წლის დასაწყისი

თუფალო, შენა ხარ ჩვენი მამა ეს 63,16ბ

მადლობა იესოს, რომელიც ენერგიულად გვიწვევს სიფხიზლისკენ, რამეთუ "სახლის მეპატრონე დაბრუნდება", იმედიანად ვენდობით ღმერთს. ვიცით, რომ იგი მამაა ჩვენი და ასეთად გვექცევა, ანუ ვუყვარვართ და ყველა ღონეს ხმარობს ჩვენს გადასარჩენად, როგორც ჩვენი ცოდვების შედეგიდან, ასევე გარედან მოსული საფრთხეებიდან.

4 დეკემბერი

2023

ადვენტის I კვირა [I], ი

წმ. იოანე დამასკელი, ხუც. და მოძ., +749

ორშაბათი

ეს 2,1-5; ფს 121; მთ 8,5-11

ისრაელშიც ვერ ვჰოვე ასეთი რწმენა მთ 8,10

**უფალო იესო, შენ გაგაკვირვა წარმა-
რთი კაცის - ასისთავის რწმენამ, ვინც
თავისი მონისთვის გევედრებოდა. მას
სჯეროდა, რომ შენი სიტყვა ისეთივე
ნაყოფიერი იყო, როგორც ღვთის სი-
ტყვა, რასაც შეეძლო დაენგრია გინდაც
ფიზიკური, გინდაც სულიერი კედლები.
დღეს, მეც შენს სიტყვას დავეყრდნობი:
კლდესავით მყარად დავდგები და შენც
უწინდებურად გაიხარებ.**

5 დეკემბერი

2023 სამშაბათი

ეს 11,1-10; ფს 71; ლკ 10,21-24

ყოველივე მამისგან გადმომეცა ლკ 10,22

უფალო იესო, რა მოგცა მამამ? იგი არა-ფერს იძლევა, გარდა საკუთარი თავისა: მან შენ თავისი სიყვარულის სისრულე გიბოძა. მადლობა, რამეთუ გსურს მეც გავხდე მოზიარე ამ სიმდიდრისა.

6 დეკემბერი

ადვენტის I კვირა [I], ი

წმ. ნიკოლოზი, ეპისკოპოსი, +350

2023

ოთხშაბათი

ეს 25,6-10ა; ფს 22; მთ 15,29-37

იესო ავიდა მთაზე და დაჯდა მთ 15,29

იესო, დიდძალი ბრბო აღმოაწევს შენამდე მთაზე. შენს მძებნელს ჯაფა ადგება ამოსასვლელად. ეს ჯანსაღი ჯაფაა, რომელიც მეხმარება ყველაფერს განვერიდო, რაც კი ჩემს გულისყურს ფანტავს: შენამდე მომსვლელი, სხვაზე არაფერზე უნდა ფიქრობდეს, რათა მოტყუებული არ დარჩეს.

7 დეკემბერი

ადვენტის I კვირა [I]

წმ. ამბროსი, ეპ. და მოძ., +397, (მ), თ

2023 ხუთშაბათი

ეს 26,1-6; ფს 117; მთ 7,21.24-27

გამაგრებული ქალაქი გვაქვს ეს 26,1

ძლიერი ქალაქი კლდეზეა აგებული, ღვთის სიტყვის კლდეზე, რასაც იესო ასე უხვად გვანიჭებს ყოველდღე. ეს ქალაქი გამაგრებულია: მას შენი მცნებების კედლები იცავენ, შენი წმიდა საიდუმლონი კვებავენ, შენი გასხივოსნებული არსებობა ანათებს.

8 დეკემბერი

2023

უმანკოდ ჩასახვა
ნეტარი ქალწული მარიამისა, დდ, [ს], თ

პარასკევი

დაბ 3,9-15.20; ფს 97; ეფ 1,3-6.11-12; ლკ 1,26-38

ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

გავიჩნდება მე, რომელსაც სახელად
იესოს დაარქმევ ლკ 1,31

დღეს, შენ სიხარულს ვიზიარებთ წმიდაო ღვთისმშობელო. შენი განუმეორებელი მშვენიერება ქვეყნიერებას აბრწყინებს. შენი სპეტაკი სამოსი სრულიად უბიწოა. თავიდანვე წმიდად და თავისუფლად აღგიქვამენ ჩვენი თვალები. შენგან შეისხა ხორცი ღვთის ძემ და ჩვენს სახსნელად მოვიდა. შენ პირველმა გააჟღერე სახელი მისი, რომელიც სიხარულით აღავსებს ჩვენს გულს.

9 დეკემბერი

ადვენტის I კვირა [I], ი

წმ. ხუან დიეგო კუაუჰტლატოაწინი, +1548

2023 შაბათი

ეს 30,19-21.23-26; ფს 146; მთ 9,35-38 – 10,1.6-8

ევედრეთ სამკალის უფალს მთ 9,38

იესოს მიერ თავისი მოციქულების მოხმობა შეიძლება უცნაურად ჩანდეს. ბრბო დაღლილი და დაოსებულია, სამკალი ბევრია, იგი მათგან ლოცვას ითხოვს. მან უწყის, რომ მამისთვის ძღვენია სახარების საუწყებლად გაწეული გარჯის ნაყოფი. თუ სახარების მუშაკნი მას არ შესთხოვენ, ამაო იქნება მათი გარჯა.

10 დეკემბერი

ადვენტის II კვირადღე, «ბ», [II], ი

2023 კვირა

ეს 40,1-5.9-11; ფს 84; 2პეტ 3,8-14; მარ 1,1-8

ის კი სულიწმიდით მოგნათლავთ მარ1,8

იოანე ნათლისმცემელი ხარობს, როდესაც მას წარუდგენს, ვის მოლოდინშიც იყვნენ წინასწარმეტყველნი და პატრიარქნი: აჰა, საბოლოოდ, ძალუძს მიანიშნოს მასზე. ამით გვეუბნება, რომ ჩვენი შეცვლაც შეუძლია ღმრთის სიცოცხლის ბოძებით, წუთისოფლისთვის ჯერარნაბული სიყვარულის მონიჭებით - ერთი წმიდა ღმერთის სულის.

11 დეკემბერი

2023

ადვენტის II კვირა [II], ი

წმ. დამას I, პაპი, +384

ორშაბათი

ეს 35,1–10; ფს 84; ლკ 5,17–26

ადექ და გაიარე ლკ 5,23

არავის გაუცია მსგავსი ბრძანება დავ-
რდომილზე. ახლა, როცა მისი ცოდვა
გაუქმდა, შეუძლია ამ უცნაურ ბრძანებას
დაემორჩილოს. ხელს ვერაფერი შეუშ-
ლის. მეც შევთხოვ პატიებას, შემდეგ კი
მორჩილებით ავდგები და თავაწეული
სიხარულით გავეშურები.

12 დეკემბერი

2023

ადვენტის II კვირა [II], ი

(29.XI) წმ. აბიბოს ნეკხესელი, ეპ., წამ., VIს.; გვადაღუპეს ნეტახი ქაღწუღი მახიამი, 1531

სამშაბათი

ეს 40,1-11; ფს 95; მთ 18,12-14

ძლიერებით მოვა უფალი ღმერთი ეს 40,10

ღმერთის ძალმოსილება გულმოწყალე სიყვარულშია. ამას ყოველდღე შეგვაგონებს იესო იმ იგავით, სადაც ფარას ჩამორჩენილ ცხვარზე საუბრობს: მწყემსის გარეშე დარჩენილი ცხვარი. მისი სიყვარულის ნათელი და ძალა მას ეძებს, იპოვის და სხვა ცხვრებს დაუბრუნებს.

13 დეკემბერი

2023

ადვენტის II კვირა [II], ი

წმ. ლუცია, ქალწ. და წამ., +404, (მ), წ;
(30.XI) წმ. ვახტანგ გორგ., +502; წმ. პეტრე კათ., Vს; წმ. სამოეღ კათ., V-VIსს

ოთხშაბათი

ეს 40,25-31; ფს 102; მთ 11,28-30

ჩემი უღელი ტკბილია მთ 11,30

უღელი ის იარაღია, რომელიც მორჩილებისთვის არის საჭირო: მას ცხოველებს ადგამენ ურმის წასაყვანად, უღელზე მაგრდება მისი საჭე და ცხოველს ყელზე ედგმება. იესოსთვის გარჯა სიხარულს, სიმშვიდეს, კმაყოფილებას იძლევა, რადგანაც ჩვენს ცხოვრებას სიუხვეს მატებს და ნაყოფიერს ხდის. მისი უღელი ჯვარიცაა, მაგრამ რაკიღა ისიც იქაა, უღელიც ტკბილია!

14 დეკემბერი

2023

ადვენტის II კვირა [II], ი

წმ. იოანე ჯვრისა, ხუც. და მოძ., +1591, (მ), თ

ხუთშაბათი

ეს 41,13–20; ფს 144; მთ 11,11–15

მე შეგეწევით ეს 41,14

ესაია წინასწარმეტყველი გვეხმარება, რომ ძლიერი სურვილით ველოდოთ იესოს. სწორედ იგი გამოგვიყვანს ყოველგვარი მწუხარებიდან და ჩაგვრიდან. შემდეგ კი, როგორც დღევანდელ სახარებაშია, თავად იესო აღიარებს, რომ ჭეშმარიტი დახმარება, არა მხოლოდ მისთვის, არამედ ჩვენთვისაც, იოანე ნათლიმსცემლიდან ანუ მისი წინამორბედიდან მოდის.

15 დეკემბერი

2023

ადვენტის II კვირა [II], ი

(2.XII) წმ. ისე წიდკნელი, ეპისკოპოსი,VIს.

პარასკევი

ეს 48,17-19; ფს 1; მთ 11,16-19

მართლდება სიბრძნე
თავისი საქმეებით მთ 11,19

სიბრძნე ისაა, რამაც იესო მოგვივლინა. მისი საქმეებით სრულად ცხადდება მამის სიყვარული: განკურნებული სნეულნი, ჩაგრულთა და დამონებულთა გამოხსნა, ღატაკთა და უიმედოთა დანუგეშება, მიტევებული და რწმენად მოქცეული ცოდვილნი.

16 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II], ი

2023 შაბათი

ზირ 48,1-4.9-11; ფს 79; მთ 17,10-13

მაგრამ თქვენ გეუბნებით, რომ ელია უკვე მოვიდა, თუმცა ვერ იცნეს იგი მთ 17,12

ელია ცეცხლის მსგავსია, ამბობს ზირა-ქე, ცეცხლი, რომელიც განწმენდს და ანათებს. იოანეც ასეთი გახლდათ: მისი სიტყვა ადამიანებს ცოდვებს შეაცნობდა და ნათელს ჰფენდა, რომ ღვთის კრავი - ისრაელის ნეფე შეგვეცნო.

17 დეკემბერი

ადვენტის III კვირადღე, «ბ», [III], 3

2023 კვირა

ეს 61,1-2.10-11; საგ: ლკ 1,46-50.53-54; 1თეს 5,16-24; იო 1,6-8.19-28

შობის ნოვენის დასაწყისი

მოუსწორეთ გზა უფალს

იო 1,23

უფლის გზა არის გეზი, რასაც წუთისოფელში მოსასვლელად იყენებს: ეს შინაგანი გზაა ყოველი გულის, ყოველი ოჯახის, ყოველი პატარა და დიდი საზოგადოების. ეს გზა რომ მოვასწოროთ, ჩვენ უნდა ვეძებოთ უბრალო და სულგრძელი აზრები და ურთიერთობები.

18 დეკემბერი

2023 ორშაბათი

იერ 23,5-8; ფს 71; მთ 1,18-24

მ. კონსტანტინე საფარიშვილის გახსენება (+1973)

ის, ვინც მასშია ჩასახული,
სულიწმიდისგან არის მთ 1,20

წმიდა იოსებს ეს გამოცხადება სიზმრად ეწვია. ღმერთთან დაკავშირებული სიზმრები სხვას არ ჰგავს: ეს თავისებური ფორმაა, რასაც ღმერთი ირჩევს ადამიანში თავისუფალი ნების გამოსაწვევად. იოსები მაშინვე შეუდგება ყრმის თაყვანისცემას, ვისაც აქამდე ცოდვის ნაყოფად უყურებდა. რამხელა ცვლილებაა!

19 დეკემბერი

2023

შობის ნოვენა [ს], ი
წმ. ნიკოლოზი, ეპისკოპოსი, +350

სამშაბათი

მსჯ 13,2-7.24-25ა; ფს 70; ლკ 1,5-25

მთელი ხალხი გარეთ ლოცულობდა ლკ 1,10

ზაქარია საკმეველს აკმევს თავისი მსახურებით. ეს მსახურება ღმრთის წინაშე იმის ნიშანია, რაც ხალხის გულში ხდება. ხალხი ლოცულობს, საერთო სურვილებს გამოხატავს, იმ ღმერთის წინაშე გამოხატავს, ვინც მისი მოკავშირეა და მის ლოცვას შეისმენს. დღეს ხალხი იღებს ნიშანს, რომ მისი ლოცვა შესმენილი და აღსრულებულია.

20 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს], ი

2023 ოთხშაბათი

ეს 7,10-14; ფს 23; ლკ 1,26-38

ფუზენაესის ძედ იწოდება ლკ 1,32

მარიამზე მოხდენილ საკვირველებ-
ბს ბოლო არ უჩანს, პირიქით, ახლა
იწყება. ძე, ვისაც თავის თავს სრულად
მიუძღვნის, უზენაესის ძეა! მან თავი
მიუძღვნა მამის ნების აღსრულებას და
ღვთის მშობელი დედა გახდა. რას ნიშ-
ნავდა ეს ყოველივე? იგი ვერ ხვდებოდა,
რადგანაც მსგავსი რამ არასოდეს სმენია
კაცობრიობის ისტორიას. ამას იგი თა-
ვად გააცხადებს.

21 დეკემბერი

2023

შობის ნოვენა [ს], ი

წმ. პეტრე კანიზიუსი, ხუც. და მოძ., +1597

ხუთშაბათი

ქებ 2,8-14 ან, სოფ 3,14-17; ფს 32; ლკ 1,39-45

ადგა მარიამი და საჩქაროდ წავიდა მთიან მხარეში ლკ 1,39

მარიამ, შენ უკვე დედა ხარ, მაგრამ მისი არსი კი ვერ გაგიგია. აჰა, მეორე დედისკენ მიეშურები. ორივეს მოგხედათ თქვენმა ღმერთმა წყალობითა და ძალით. რას იტყვით? შეეწევით, რომ ადიდოთ და აკურთხოთ ის, ვინც სამყაროს არსებობას შეცვლის და ხალხისთვის და ყოველი ოჯახისთვის დიდ წყალობად გაქცევთ?

22 დეკემბერი

2023 პარასკევი

1მეფ 1,24-28; ფს: 1მეფ 2,1.4-8; ლკ 1,46-55

ადიდებს სული ჩემი უფალს ლკ 1,46

მარიამ, ელისაბედზე შენი მისალმება ლამაზ ლოცვად იქცა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ღმერთის წყალობით შენ მასთან ერთად ხარ. იგი დიადი, ნაზი და გულმოწყალეა. პატარებისადმი და დაფარულში მყოფთათვის გულისხმიერი. ძლევამოსილი ყველა ძლევამოსილთა წინაშე. შენი ლოცვა სამარადჟამოდ გაიხმიანებს მთელს დედამიწაზე.

23 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს], ი

წმ. იოანე კენტელი, ხუც., +1473

2023 შაბათი

მალ 3,1-4.23-24; ფს 24; ლკ 1,57-66

ზაქარია ალაჯარაკდა და
აკურთხებდა ღმერთს ლკ 1,64

ჰოი, ღმერთო, მამაო ჩვენო, მუნჯის ენამ გაკურთხა შენ! მეც ვუერთდები მას, რათა გაკურთხო და განგადიდო, რამეთუ ეცხადება მას, ვინც არარაა და იღწვი დაფარულში მყოფთათვის, რათა გაეცხადო მთელს სამყაროს.

24 დეკემბერი

ადვენტის IV კვირადღე, «ბ», [IV], ი

2023 კვირა

2მეფ 7,1-5.8ბ-12.14ა.16; ფს 88; ლკ 1,67-79

გადმოგვხედა მზის აღმოსავლის
სიმაღლიდან ლკ 1,78

ზაქარია ისრაელის ღმერთს აკურთხებს, რომელიც წინასწარმეტყველთა აღთქმებს ასრულებს. ბავშვი, რომელიც სიბერეში იშვა, მისი ლოცვების შესმენით, "უზენაესი წინასწარმეტყველი" იქნება და მაცხოვარს აუწყებს. იგი იქნება ნათელი, რომელიც წუთისოფელს გაანათებს, ვითარცა ღვთიური მზე, რამეთუ ზემოდან ეშვება!

25 დეკემბერი

ქრისტეშობა, დდ, [ს], თ

2023

(12.XI) წმ. იოანე ზედაზნის წინამძღვარი, აბატი, IXს.

ორშაბათი

ღამის წირვა: ეს 9,1-6; ფს 95; ტიტ 2,11-14; ლკ 2,1-14
დღის წირვა: ეს 52,7-10; ფს 97; ებრ 1,1-6; იო 1,1-18

და სიტყვა იყო ღმერთთან იო 1,1

დღეს ამ საიდუმლოს აღვნიშნავთ: სიტყვა, რომელიც საღვთო სიყვარულის სისრულეს გვამცნობს, ჩვენს შორისაა, ვითარცა ერთი ჩვენგანი.
აწ, მამის სიხარულში შესვლა და სრულიად ახალი ცხოვრებით ცხოვრება შეგვიძლია. აღარა ვართ მარტონი, ბედის ანაბრად მიტოვებულნი, რამეთუ ღმერთი მყოფმა სიტყვამ ხორცი შეისხა!

26 დეკემბერი

წმ. სტეფანე პირველწამებული, დ, [ს], წ

2023 სამშაბათი

საქმ 6,8-10.12; 7,54-60; ფს 30; მთ 10,17-22

ოზურგეთის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ბოლომდე მომთმენი კი გადარჩება მთ10,22

სტეფანეს სიცოცხლის ბოლო წუთამდე უყვარს იესო. იგი იმეორებს იესოს სიტყვებს, რათა თავის მკვლელებს მიუტევოს და მამის ხელებს ჩაბარდეს. ის მტკიცედ დგას: ტანჯვა და სიკვდილი ხელს არ უშლის საუკუნო ცხოვრებაში. ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ მისგან!

27 დეკემბერი

2023

წმ. იოანე, მოციქული და მახარებელი, დ, [ს], თ

ოთხშაბათი

1იო 1,1-4; ფს 96; იო 20,2-8

ჩვენი მოზიარეობა არის მამასთან და მის ძესთან, იესო ქრისტესთან 1იო 1,3

მოციქული იოანე ერთ ძვირფას საიდუმლოს გვიმჟღავნებს ქრისტიანულ ცხოვრებაზე. ჩვენ ძმები ვართ, რამეთუ ზიარებაში ვცხოვრობთ. ეს უპირველესად აისახება მამასთან და ძესთან. ამ მჭიდრო საღვთო კავშირის გარეშე ძმური ცხოვრების ყოველი მცდელობა ამაო იქნებოდა. მადლობა იოანეს: იესოს მკერდზე მიდებული მისი თავი გვამხნევებს, რომ ნამდვილად შევალთ მასთან ზიარებაში!

28 დეკემბერი

წმ. ჩვილნი ქრისტესათვის წამებულნი, დ, [ს], წ

2023 ხუთშაბათი

1იო 1,5 – 2,2; ფს 123; მთ 2,13–18

ადგა, ღამით წაიყვანა ყრმა და დედამისი, და წავიდა ეგვიპტეში მთ2,14

იოსები, მორჩილი ადამიანი, ხარობს, რომ მარიამი მისი მორჩილია. ყრმა მათთვის არა მხოლოდ ტანჯვის მიზეზია, არამედ უწინარესად სიხარულის, თუ-ნდაც მწუხარებაში. და ეგვიპტე, მტრის ადგილი, იესოს მიმართ მასპინძლობას იჩენს. ხოლო მისი მიზეზით მოკლული ყრმები, წმიდა მოწამეთა დიდების მოზი-არენი გახდნენ.

29 დეკემბერი

2023

შობის რვადღეულის V დღე [ს], თ

წმ. თომას ბეკეტი, ეპ. და წამ., +1170

პარასკევი

1იო 2,3-11; ფს 95; ლკ 2,22-35

იხილეს ჩემმა თვალებმა
ხსნა შენმიერი ლკ 2,30

უფალო იესო, ჩემი თვალებიც ხედავენ ახალ სინათლეს: გხედავ შენ, მთელი სამყაროს სიხარულს, ღვთის სიყვარულის გაცხადებას, სამყაროს ხსნას ჩაგვრისა და უვიცობისგან.

30 დეკემბერი

შობის რვადღეულის VI დღე [ს], თ

2023 შაბათი

1იო 2,12-17; ფს 95; ლკ 2,36-40

ყრმა კი იზრდებოდა და
სულით მტკიცდებოდა ლკ 2,40

იერუსალიმის ტაძარში სიმეონისგან და შემდეგ ანასგან კურთხეული იესო, ჩვეულებრივი ძეა, მათსავით იზრდება. ნელ-ნელა, მასში ღვივდება წყალობა და სიბრძნე, რომ ჩვენში მოიძებნება თავშეკავება და საფრთხე სამყაროს ცოდვისა, რომელშიც ჩართულები ვართ.

31 დეკემბერი

2023

იესოს, მარიამისა და იოსების
წმიდა ოჯახის დღესასწაული, «ბ», [ს], თ
წმ. სიღიბისტჩო I, პაპი, +335

ჯვირა

დაბ 15,1-6;21,1-3; ფს 104; ებ 11,8.11-12.17-19; ლკ 2,22-40

გორის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

იერუსალიმში წაიყვანეს
უფლის წინაშე წარსადგენად ლკ 2,22

**წმიდა ოჯახის დღესასწაულია: წელი-
წადს ის მოსიყვარულე მზერა ასრულე-
ბს, რითაც საკუთარ მშობლებს უცქერდა
უფალი იესო. ეს მარიამის, იოსების
მორჩილის მოსიყვარულე მზრეაა, რო-
მელიც თავის მხრივ ღვთის ძის ერთ-
გულია. მოსიყვარულე მზერაა ღმრთის
მორჩილი კაცის, იოსებისა. მან იცის,
რომ ოჯახის უფროსი ავტორიტეტს და-
კარგავს, თუკი არ
დაემორჩილა თავის ზეციერ მამას.**